**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# აბეშურა

აბეშურა, ლეონტი მროველის მიხედვით, ქართლის დედოფალი IV ს-ში, მირიან III-ის პირველი მეუღლე. ქართლის მეფის ასფაგურის ასული.

მამის გარდაცვალების შემდეგ, რადგან მას ძე არ ჰყავდა, ქართლის ერისთავებმა, ქართლში ფარნავაზიანთა სამეფო დინასტიის გაგრძელების მიზნით, ა-ს ქმრად შერთეს ფარნავაზიანთა მეორე შტოს წარმომადგენლის რევის ძე მირიანი.

*ლიტ.*: გ ო ი ლ ა ძ ე ვ., ამიერკავკასიაში სასანიანთა მმართველობის ასახვა ქართულ საისტორიო ტრადიციაში, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1982, № 4.

***ვ. გოილაძე***